საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/12

ქ. ბათუმი 08 თებერვალი 2019 წ.

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2019 წლის 28 იანვრის N81887 მოხსენებითი ბარათის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის N30 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის N06-01/-06 დადგენილების, საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს თანდართული ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი" (დანართი 1).
2. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/12 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,ბსუ" ან ,,უნივერსიტეტი") პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების პროცედურას და შეფასების მექანიზმებს.

მუხლი 2. საწარმოო პრაქტიკის მნიშვნელობა, მიზანი და ამოცანები

1. საწარმოო პრაქტიკა პროფესიული განათლების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. იგი შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები, კიდევ უფრო დახვეწოს და განავითაროს ისინი.

2. **საწარმოო პრაქტიკის მიზნებია:**

ა) სტუდენტის მიერ სასწავლო-მეთოდური საქმიანობის (პროცესის) საფუძველზე მიღებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების, უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე, პრაქტიკულ გარემოში ადაპტაცია, განვითარება და განმტკიცება;

ბ) სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა.

3. საწარმოო პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: ბსუ, პროფესიული სტუდენტი და დამსაქმებელი.

4. საწარმოო პრაქტიკის განხორციელება სამივე მხარისათვის მნიშვნელოვანია, კ ე რ ძ ო დ:

4.1. პროფესიული სტუდენტისათვის:

ა) განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან;

ბ) სამუშაო გარემოში ჩართვა, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება;

გ) სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება და ახალი კომპეტენციების გამომუშავება;

დ) მომავალი კარიერის მიზნების დასახვა.

4.2. ბსუ-სთვის:

ა) კონტაქტების შენარჩუნება შრომის ბაზართან და საგანმანათლებლო პროგრამების განახლება საზოგადოების სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) კურსდამთავრებულთა დასაქმების ამაღლება.

4.3. საწარმოს/ორგანიზაციისათვის:

ა) ახალი იდეების მიღება მოტივირებული პროფესიული სტუდენტებისაგან;

ბ) უკეთ მომზადებული და მოტივირებული სამუშაო ძალა;

გ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კორექტივების შეტანის შესაძლებლობა.

მუხლი 3. საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება

1. საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება ბსუ-სა და საწარმოო პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე.

2. პრაქტიკის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი, მათ შორის უნივერსიტეტთან არსებული საწარმო ან მისი სტრუქტურული ერთეული (ასეთ შემთხვევაში მემორანდუმის არ ფორმდება და გამოიცემა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება), სადაც შესაძლებელია მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

3. საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტის სწავლება ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში.

4. საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობა განისაზღვრება კონკრეტული პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე.

5. საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება ერთჯერადად, ყველა პროფესიული სავალდებულო მოდულის ათვისების შემდეგ, ან სასწავლო პროცესის პარალელურად რამდენიმე სესიად, შესაბამისი პროფესიული სავალდებულო მოდულის გავლის შემდეგ, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე.

6. პრაქტიკის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში ,,ცენტრი") პრაქტიკის დაწყებამდე **4 კვირით ადრე** ახდენს ზეპირ/წერილობით კომუნიკაციას საწარმოსთან/ორგანიზაციასთან და დამატებით აცნობებს:

ა) საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობას;

ბ) დღიურად/სულ სამუშაო საათების რაოდენობას;

გ) შრომითი ხელშეკრულების პირობებს და ასევე ათანხმებს ადგილზე პროფესიული სტუდენტების მისაღებ რაოდენობას.

7. დამსაქმებელთან მოლაპარაკების შემდეგ პრაქტიკის დაწყებამდე **1 კვირის განმავლობაში** ბსუ-ს და საწარმოს/ორგანიზაციას შორის ფორმდება ხელშეკრულება, სადაც მითითებულია კონკრეტული მოდულის დასახელება, პრაქტიკის განხორციელების თარიღი, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა (დანართის სახით თან ერთვის: პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პრაქტიკის გეგმა).

8. პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა;

ბ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის ადეკვატური, უსაფრთხო და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარემო;

9. პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე გადანაწილების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე არაუგვიანეს **7 დღისა.**

10. ბრძანებაში ასახული უნდა იყოს პრაქტიკის ობიექტის დასახელება, მისამართი, ორგანიზაციის მოცულობა, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პრაქტიკის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია, საწარმოო პრაქტიკის დაწყების თარიღი, პრაქტიკის ობიექტზე გადანაწილებული პროფესიულ სტუდენტების სახელობითი სია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, ინფორმაცია პრაქტიკის ხანგრძლივობის და დღიურად სამუშაო საათების რაოდენობის შესახებ.

11. პროფესიული სტუდენტის მხრიდან პრაქტიკის ობიექტის თაობაზე ინიცირების შემთხვევაში, შესაძლებელია, კონკრეტული პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმდეს შესაბამისი ინდივიდუალური მემორანდუმი.

12. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება პროფესიულ სტუდენტის მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლა დადგენილ ვადაში, პროფესიული სტუდენტის განცხადების საფუძველზე, შესაძლებელია, საწარმოო პრაქტიკა ბსუ-ს რექტორის ბრძანებით გადატანილ იქნეს გონივრული ვადით, დასაქმების ობიექტთან შეთანხმებით.

13. სსსმ პროფესიული სტუდენტების საწარმო პრაქტიკის ობიექტზე განაწილება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით. ხოლო საწარმოო პრაქტიკამდე ერთი თვით ადრე უნდა განხორციელდეს პრაქტიკის ობიექტის სასწავლო გარემოს შეფასება.

მუხლი 4. საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგი

1. სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლაზე მონიტორინგს ახორციელებს **საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორი** (ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი) და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი **(საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი).**

2. საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორი:

2.1. ქმნის სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტების შესასრულებლად საჭირო პირობებს;

2.2. სტუდენტებს აცნობს პრაქტიკის ობიექტს და აწვდის ინფორმაციას:

ა) მისაღწევი შესასრულებელი ამოცანების, სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესახებ;

ბ) პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის შესახებ;

გ) პრაქტიკის დღიურის წარმოების წესის შესახებ;

დ) საწარმოო პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმების შესახებ;

ე) უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ.

2.3. აწარმოებს პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტთა გამოცხადების აღრიცხვას **(წესის თანდართული ფორმა N1);**

2.4. ამუშავებს საწარმოო პრაქტიკის მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების პრაქტიკული დავალების თემატიკას და უზრუნველყოფს სტუდენტებს ინდივიდუალური დავალებებით;

2.5. ამყარებს კონტაქტს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტთან (საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი) და ათანხმებს მას სტუდენტთა ინდივიდუალურ დავალებებს;

2.6. აღმოუჩენს სტუდენტებს მეთოდურ დახმარებას პრაქტიკული დავალებების შესრულებისას;

2.7. ახორციელებს შესრულების მტკიცებულებების შეგროვებასა და პროფესიული სტუდენტის შეფასებას, როგორც შემფასებელი;

2.8. პროფესიული სტუდენტის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან კომპანიის მიერ შრომის კოდექსის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ვალდებულია წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს.

3. საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობა თუკი აღემატება 8 სასწავლო კვირას, პრაქტიკის ინსტრუქტორი ვალდებულია საწარმოო პრაქტიკის შუა პერიოდში წერილობით წარმოადგინოს შუალედური ანგარიში პრაქტიკის მიმდინარეობის თაობაზე.

მუხლი 5. საწარმოო პრაქტიკის სწავლის შედეგების შეფასება და შეჯამება

1. საწარმოო პრაქტიკის შეფასება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
2. საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორი აჯამებს პრაქტიკის მიმდინარეობას და პრაქტიკის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 15 დღის ვადაში წერილობით ანგარიშს წარუდგენს ცენტრს (საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორს).
3. წერილობით ანგარიშს თან უნდა ახლდეს საწარმოო პრაქტიკის მოდულით გათვალისწინებული შესრულების მტკიცებულებები.
4. საწარმოო პრაქტიკის მანძილზე სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური აქტივობების აღწერა პრაქტიკის დღიურში **(წესის თანდართული ფორმა 2)**, ჩაინიშნოს მონაცემები, აღწეროს შესრულებული სამუშაო და ის სიახლეები, რომელსაც იგი გაეცნო პრაქტიკის პროცესში, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით დააფიქსიროს მიღწეული შედეგები.
5. საწარმოო პრაქტიკის დღიური უნდა დამოწმდეს საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორის და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტის (საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი) მიერ.
6. საწარმოო პრაქტიკის დღიური ითვალისწინებს ყოველდღიური აქტივობების კალენდარული გეგმის წარმოებას, პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოების დეტალურ აღწერას და კონკრეტული კომპეტენციების ჩამონათვალს, რომელთა გამომუშავებაც შეძლო მან კონკრეტული აქტივობის შესრულების შედეგად.

7. პრაქტიკის დღიურში თანმიმდევრობით უნდა აისახოს პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ გაცემული დავალებები და შესრულებული სამუშაოს აღწერილობა.
8. პრაქტიკის ინსტრუქტორი ყოველი დღის ბოლოს, ან მომდევნო დღეს, ხელმოწერით ადასტურებს პროფესიული სტუდენტის მიერ დღიურში ასახული ინფორმაციის შესაბამისობას შესასრულებელ დავალებასთან.
9. პრაქტიკის დღიური პრაქტიკის დასრულებამდე ინახება პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭებამდე - საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორთან. პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ პრაქტიკის დღიურის შენახვა წარმოებს ბსუ-ს საქმისწარმოების წესის შესაბამისად.
10. საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტი ასევე ვალდებულია აწარმოოს ყოველდღიური საქმიანობის აღწერა და პრაქტიკის დასრულების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში **((წესის თანდართული ფორმა N3).** საწარმოო პრაქტიკის ანგარიში უნდა მოიცავდეს: ა) თავფურცელს (უნივერსიტეტის დასახელება, პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამის დასახელება, პრაქტიკის ობიექტის დასახელება, პრაქტიკის ვადები, სტუდენტის სახელი და გვარი, საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორის სახელი და გვარი); ბ) პრაქტიკის ობიექტის აღწერას (საწარმოს/ორგანიზაციის სრული დასახელება, მისამართი და მოკლე დახასიათება; საწარმოს/ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა; სფერო, რომელშიც ფუნქციონირებს საწარმო/ორგანიზაცია. გ) პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზს (ანალიზში აისახება: რა ტიპის ფუნქციებს ასრულებდა სტუდენტი პრაქტიკის დროს. პრაქტიკის პროგრამით დაგეგმილი (ან დაუგეგმავი) რომელი უნარები შეიძინა ან/და განივითარა სტუდენტმა პრაქტიკის პროცესში. რამდენად შეესაბამებოდა პრაქტიკის დროს განხორციელებული საქმიანობა აუდიტორიის ფარგლებში გამომუშავებულ კომპეტენციებს, სასურველია დახასიათდეს აგრეთვე ის სირთულეები, (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელსაც ადგილი ჰქონდა პრაქტიკის პროცესში. დ) დასკვნებს.
11. ანგარიში საწარმოო პრაქტიკის შესახებ სტუდენტმა უნდა წარადგინოს პრაქტიკის დამთავრებიდან **ერთი კვირის ვადაში.** პრაქტიკის ანგარიშის ტექსტი უნდა შესრულდეს თაბახის (A4 ზომის) ფურცლებზე, შრიფტი Sylfaen, ზომა 12, ინტერვალი ორმაგი, დაშორება ფურცლის კიდეებიდან 2სმ.
12. საწარმოო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ ტარდება საწარმოო პრაქტიკის დაცვა /პრეზენტაცია.
13. სტუდენტის საწარმოო პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სწავლის შედეგების დადასტურების უწყისი.
14. სრულყოფილ საწარმოო პრაქტიკის ანგარიშსა და დღიურს პროფესიული სტუდენტი წარადგენს საწარმოო პრაქტიკის დაცვის კომისიის წინაშე.
15. საგამოცდო კომისიის შემადგენლობას პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ბსუ-ს რექტორი შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

16. საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორი, საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი და შესაბამისი დარგის სპეციალისტი საწარმოდან.
17. საწარმოო პრაქტიკის დაცვაზე პროფესიულ სტუდენტის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს როგორც მის თეორიულ ცოდნას, ისე პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.
18. საწარმოო პრაქტიკის შეფასებისას გამოიყენება ორი სახის შეფასება, კერძოდ:

ა) 51-100 ქულა - პროფესიული სტუდენტი კომპეტენტურია, სტუდენტს შეუძლია სწავლის შედეგით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება.

ბ) 0-50 ქულა - პროფესიული სტუდენტი არაკომპეტენტურია, სტუდენტს არ შეუძლია სწავლის შედეგით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება.

19. სტუდენტის საწარმოო პრაქტიკა ფასდება შემდეგი კომპონენტებით:

19.1. პრაქტიკის დღიური (0-40 ქულა) - სტუდენტის დღიურის შეფასება უნდა მოხდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ა) პრობლემის დასმა და ამოცნობა - 0-10 ქულა; ბ) პრობლემის გადაჭრის გზების სწორად შერჩევა - 0-10 ქულა გ) საკუთარი ნამუშევრის ობიექტურად შეფასება - 0-10 ქულა; დ) აზრის სრულყოფილად და გამართულად ჩამოყალიბება - 0-10 ქულა

19.2. პრაქტიკის ანგარიში (0-60 ქულა) - სტუდენტის პრაქტიკის ანგარიშის შეფასება უნდა მოხდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) თავფურცელი, რეზიუმე და გაფორმება, დანართები - 0-10 ქულა (გაფორმებულია შესაბამისად, რეზიუმე სრულად ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს, დანართები რელევანტურია და ნათლადაა გადმოცემული);

ბ) საწარმოს\ორგანიზაციის აღწერა - 0-10 ქულა; (ქმნის მკაფიო წარმოდგენას საწარმოზე);

გ) პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები - 0-30 ქულა (განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით ფიქსირდება მიღწეული შედეგები, ანალიზი ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, დასკვნები და რეკომენდაციები არგუმენტირებულია);

დ) პრეზენტაცია 0-10 ქულა (თანმიმდევრულია და შესაბამისად გაფორმებული, იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს).

20. საწარმოო პრაქტიკის შეუსრულებლობისათვის და დადებითი შეფასების ვერ მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი განმეორებით იგზავნება საწარმოო პრაქტიკაზე.
21. საწარმოო პრაქტიკის დაცვის შედეგები აისახება საწარმოო პრაქტიკის დაცვის სხდომის ოქმში **(წესის თანდართული ფორმა N4).**
22. დაცული საწარმოო პრაქტიკის ანგარიშები ექვემდებარება შენახვას ბსუ-ს საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საწარმოო პრაქტიკაზე პროფესიული სტუდენტის დასწრების აღრიცხვის ფურცელი

სტრუქტურული ერთეული: პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

საკონტაქტო საათების რაოდენობა

საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორი:

N	პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი	შეხვედრები														
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1																
2																
3																
4																
5																
6																
7																
8																
9																
10																
11																
12																
13																
14																
15																
16																
17																
18																
19																
20																

პროფესიული პროგრამების მართვისა და
უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი: ასოც. პროფ. მ. მიქელაძე

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი
განათლების ცენტრის პრაქტიკის კოორდინატორი: /ლ. ვერძაძე/

საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორი, პროფესიული განათლების მასწავლებელი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის

დ ღ ი უ რ ი

ბათუმი _____ წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: _____

_____

პროფესიულის სტუდენტი (სახელი, გვარი): _____

საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პერიოდი: _____დან _____მდე

საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ადგილი (ორგანიზაციის სახელწოდება, მისამართი):

_____

_____

საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები (სახელი, გვარი, პოზიცია/თანამდებობა):

_____

_____

საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორი/ინსტრუქტორები (სახელი, გვარი, პოზიცია/თანამდებობა):

_____

_____

ვადასტურებთ:

საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი:

საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორი:

საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი:

მითითებები პროფესიული სტუდენტისათვის:

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია აწარმოო პრაქტიკის დღიური;
2. პრაქტიკის დღიური პროფესიული სტუდენტისათვის წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომელშიც შეაქვს პრაქტიკის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების და დავალებების შესახებ ინფორმაცია;
3. დღიურის შევსება წარმოებს რეგულარულად და სუფთად. დღიურში ჩანაწერები უნდა იყოს შესრულებული ხელით;
4. დღიურს სასურველია თან ერთოდეს პრაქტიკის ამსახველი ფოტომასალა;
5. პროფესიული სტუდენტის ჩანაწერებს ხელისმოწერით ადასტურებს პრაქტიკის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;
6. პრაქტიკის დასრულების შემდგომ დღიურს ამოწმებს პრაქტიკის ხელმძღვანელი ხელისმოწერით და ცენტრის ბეჭდით;
7. პრაქტიკის ხელმძღვანელი პრაქტიკის დასრულების შემდგომ აფასებს პრაქტიკის მიმდინარეობისას პროფესიული სტუდენტის მიერ გამოვლენილ უნარებს;
8. პრაქტიკის დამთავრების შემდგომ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პრაქტიკის ხელმძღვანელს ჩააბაროს პრაქტიკის დღიური სრულყოფილი სახით და არსებობის შემთხვევაში პრაქტიკის ამსახველი ფოტო-მასალა

საწარმოო პრაქტიკის ფურცელი

თარიღი `----------“ `----------“ 201 წელი

შინაარსი (მოდულის მიხედვით ივსება პროფესიული სტუდენტის მიერ):

გთხოვთ უპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს (ივსება პროფესიული სტუდენტის მიერ):

1. მიაღწიეთ თუ არა საწარმოო პრაქტიკით დაგეგმილ მიზნებს?

_____

_____

2. საწარმოო პრაქტიკით დაგეგმილ რომელ სწავლის შედეგებს მიაღწიეთ ან ვერ მიაღწიეთ. რატომ?

_____

_____

_____

3. მოიყვანეთ 2 ან 3 მაგალითი, იმის შესახებ თუ რა ისწავლეთ საკუთარი თავის ორგანიზაციის, ან ზოგადად სამუშაოს შესახებ:

_____

_____

_____

_____

_____

_____

4. აღწერეთ რამდენიმე საინტერესო ფაქტი, რომელიც თქვენ შეგემთხვათ პრაქტიკის განმავლობაში, როგორ გადაჭერით პრობლემა და სააუდიტორიო მეცადინეობების ფარგლებში ათვისებული რომელი უნარები გამოიყენეთ პრობლემის გადასაჭრელად:

_____

_____

_____

_____

_____

5. საჭიროა თუ არა ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში საწარმოო პრაქტიკის უფრო წარმატებულად გასავლელად? (დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ გააკეთოთ კომენტარი):

_____

_____

_____

_____

6. გქონდათ თუ არა რაიმე ტიპის პრობლემები პრაქტიკის განმავლობაში? (ასეთის არსებობის შემთხვევაში აღწერეთ პრობლემა):

_____

_____

_____

_____

პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა: _____

თარიღი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ბათუმი _____ წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: _____

_____

პროფესიულის სტუდენტი (სახელი, გვარი): _____

საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პერიოდი: _____დან _____მდე

საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ადგილი (ორგანიზაციის სახელწოდება, მისამართი):

_____

_____

საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორი/ინსტრუქტორები (სახელი, გვარი, პოზიცია/თანამდებობა):

_____

_____

ვადასტურებთ:

საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორი:

საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი:

ანგარიშის წარმოება

ანგარიში ზოგადი ხასიათისაა და მოიცავს მოკლე ინფორმაციას საწარმოო პრაქტიკის ტიპის, განხორციელების ვადების, ადგილის (პრაქტიკის ბაზა/ობიექტი) შესახებ. პრაქტიკის ანგარიშის შესავალ ნაწილში მოკლედ აისახება შემდეგი საკითხები:

1. პრაქტიკის სახე, განხორციელების პერიოდი და ადგილი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მისი როლი და მიზანი;
2. პრაქტიკის ობიექტი - მისი მოკლე დახასიათებ (მიეთითება სახელწოდება, ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა, მისამართი, საქმიანობის სფერო)

ანგარიშის ძირითადი ნაწილი:

ოპტიმალური შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბების სამუშაო გარემოს დამოუკიდებლად ორგანიზებისა და მიღწეული სწავლის შედეგების გამოყენებით პროფესიული ამოცანების დამოუკიდებლად შესრულების შესახებ ინფორმაციას. ანგარიშის ძირითად ნაწილში ჩართულია პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული პრაქტიკის დღიური. შესაძლოა ჩაერთოს პრაქტიკის ამსახველი ფოტო-მასალა, ასევე მოძიებული ფოტო/გრაფიკული მასალა/სტატისტიკური მონაცემები და სხვა. საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ სავალდებულოა ანგარიშის წარდგენა პრეზენტაციის სახით.

ანგარიშის დასკვნითი ნაწილი (რეზიუმე)

როგორც შესავალი, ანგარიშის ეს ნაწილიც ზოგადი ხასიათისაა. მოიცავს პრაქტიკის განმავლობაში მიღწეული შედეგების, გამოკვეთილი პრობლემების/საჭიროებების/ სამომავლო გეგმების/ რეკომენდაციების შესახებ ინფორმაციას.

თარიღი `----------“ `----------“ 201 წელი

პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა: _____

საგამოცდო კომისიის მიერ შესადგენი საწარმოო პრაქტიკის დაცვის სხდომის ოქმის ფორმა N 4

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი
საწარმოო პრაქტიკის დაცვის სხდომის
ოქმი №

"___" _____ 2019 წ.

პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამა_____

პროფესიული სტუდენტი (სახელი, გვარი) _____

კომისიის ცალკეული წევრის მიერ მინიჭებული შეფასება:

№	კომისიის წევრის სახელი და გვარი	პროფესიული განათლების მასწავლებლის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	კომისიის წევრი	შეფასება:
1.			თავმჯდომარე	
2.			მდივანი	
3.			წევრი	
4.			წევრი	
5.			წევრი	
საბოლოო ქულა გამოითვლება კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო არითმეტიკულით				

საწარმოო პრაქტიკა შეფასდა "_____"

51-100 ქულა - პროფესიული სტუდენტი კომპეტენტურია, სტუდენტს შეუძლია სწავლის შედეგით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება.

0-50 ქულა - პროფესიული სტუდენტი არაკომპეტენტურია, სტუდენტს არ შეუძლია სწავლის შედეგით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება.

ხელმოწერები:

კომისიის თავმჯდომარე _____

კომისიის მდივანი _____

კომისიის წევრი _____

კომისიის წევრი _____

კომისიის წევრი _____